

Alfred Koechlin-Schwartz. Un touriste au Caucase: Volga, Caspienne, Caucase. Paris, J. Hetzel & C^{ie} Editeurs, 1881

Tous les artisans travaillent au bazar en plein air: les tailleurs y cousent les habits, et les repassent avec de grosses pierres chauffées; les fabricants de papaks, les savetiers, les selliers, les armuriers, les chaudronniers, les théiers, les fruitiers, les épiciers, les verriers, les quincaillers, etc., etc., tous travaillent ou débitent leurs marchandises sous les yeux d'une foule agitée qui court et se démène. Certaines rues sont entièrement occupées par des magasins de même genre; on voit ainsi côte à côte vingt armuriers, cinquante fabricants de papaks, cinquante savetiers, etc. (264)

ბაზარში ყველა ხელოსანი ღია ცის ქვეშ მუშაობს: თერბები იქვე კერავენ ტანსაცმელს და იქვე დიდი გახურებული ქვებით აუთოებენ; ფაფახების ხელოსნები, ხარაზები, სარაჯები, მეიარაღეები, მეთუნუქეები, მინაზე მომუშავეები, კავეულის ხელოსნები, ჩაის, ხილის, საკვების გამყიდველები და ა.შ. და ა.შ. ყველა მუშაობს ან თავის საქონელს სთავაზობს ხმაურიან ბრბოს, რომელიც დარბის და აქეთ-იქით აწყდება. ზოგიერთი ქუჩა მთლიანად ერთი ტიპის დუქნებს უჭირავს; ამგვარად, ერთმანეთის გვერდით ხედავ ოც მეიარაღეს, ფაფახის ორმოცდაათ ხელოსანს, ორმოცდაათ ხარაზს და ა. შ.

Ce bazar est un vrai labyrinthe; on se perd dans un dédale de ruelles, d'escaliers, de passages couverts, de cours, et, comme si tout cela ne suffisait pas, il y a encore partout sur votre passage des boutiques ambulantes (264); c'est le nom qu'il convient de donner à des individus chargés comme des mules et qui vendent de tout; ce sont généralement de grands beaux gaillards taillés en Hercule: sur une épaule un manteau, sur l'autre des étoffes déployées à demi, autour du cou des colliers des cravates, passés dans une demi-douzaine de ceintures, des kandjars, des pistolets, des couteaux; ajoutez en bandoulière plusieurs fusils, sur les bras tout ce qu'ils peuvent y accrocher, et les mains pleines. Tels sont ces camelots caucasiens qui vendent de tout, depuis un pain de savon ou de l'eau de Cologne, des aiguilles, du fil, jusqu'à des montres à remontoir de chez les Japy, une vieille bride, un revolver, un chapelet musulman, des papaks, que sais-je?... Et l'on en rencontre à chaque pas.

ეს ბაზარი ნამდვილი ლაბირინთია; იქ პატარა ქუჩებში, კიბეებზე, მოსახვევებსა თუ ეზოების ლაბირინთში იკარგები და თითქოს ყოველივე ეს საკმარისი არ არის, გზაზე ყველგან მოძრავი ჯიხურებია; ეს არის სახელი, რომელიც უნდა დაერქვას ჯორივით დატვირთულ პირებს, რომლებიც ყველაფერს ყიდნიან; ისინი ძირითადად ჰერაკლეს აღნაგობის ლამაზი ჭაბუკები არიან, რომელთაც ერთ მხარზე მოსასხამი, მეორეზე ნახევრად გაშლილი ქსოვილები, კისრის გარშემო ჰალსტუხები აქვთ, ქამარში ნახევარი დუქინი ხანჯალი, პისტოლეტები და დანები აქვთ გარჯობილი; ამას დაუმატეთ მხარზე გადაკიდებული რამდენიმე თოფი, ყოველივე, რისი დამაგრებაც ხელებზე შეუძლიათ და სავსე ხელები. ასეთები არიან ეს კავკასიელი დამტარებლები, რომლებიც ყიდნიან ყველაფერს, დაწყებული საპნის ნაჭრით თუ ოდეკოლონით, ნემსებითა და ძაფებით, დამთავრებული ჟაპის¹ დასაქოქი საათებით, ძველი ლაგმით, რევოლვერით, მუსლიმური კრიალოსნით, ფაფახებით, ვინ იცის კიდევ რით... და მათ ყოველ ნაბიჯზე ხვდები.

¹ 1771 წელს ბურგუნდიაში, ბოკურში, ფედერიკ ჟაპიმ გახსნა საათების სახელოსნო. XIX საუკუნეში „ძმები ჟაპების“ ფირმა თავიანთი ნაწარმით შევეიცარიის საათების დიდი სახლების უმრავლესობას ამარაგებდა.

De l'autre côté de la Koura sont les bazars persan et tartare; là, ce n'est plus la même chose, chaque bazar a bien le cachet de son pays. Le bazar persan est très élevé, voûté, recevant le jour par en haut; c'est un dédale de longs boyaux de 10 mètres d'élévation sur 12 ou 15 mètres de large. Des deux côtés de chaque avenue, des boutiques pleines de marchandises de Perse et d'autres provenances; beaucoup de tapis de Perse, de Schoumaha et des environs de Tiflis. Ce sont ces derniers qu'on nous vend à Paris sous le nom de tapis ou portières de Karamanie, mais les belles pièces sont très rares. Des broderies, des tissus de soie de Perse ou de Schoumaha; à côté de cela, mêlées aux étoffes orientales, des cotonnades imprimées de Kœchlin-Baumgartner de Loerrach, des lainages de Moscou, etc. (265) .

მტკვრის მეორე ნაპირზე სპარსული და თათრული ბაზრებია; აქ სხვაგვარად არის, ყოველ ბაზარს თავისი ქვეყნის დალი ადევს. სპარსულ ბაზარში ძალიან მაღალი თაღებია და სინათლე ზევიდან შედის; ის გრძელი, ვიწრო გასასვლელების 10 მ-ის სიმაღლისა და 12-15 მ-ის სიგანის ლაბირინთია. მის ორივე მხარეს სპარსული და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლით სავსე დუქნებია; მრავლადაა სპარსული და შემახური, აგრეთვე თბილისის გარეუბნებიდან მოტანილი ხალიჩები. ყარამანულის² სახელწოდებით პარიზში სწორედ შემახურ და თბილისურ ხალიჩებსა თუ პორტიერებს ყიდიან, მაგრამ ლამაზი საქონელი იშვიათია. ნაქარგები და აბრეშუმის ქსოვილები სპარსული და შემახურია; მათ გვერდით ერთმანეთში ირევა აღმოსავლური ქსოვილები, კოკლენ-ბოუმგარტნერის³ მოჩითული ბამბის ქსოვილები ლორაჰიდან⁴, შალეული მოსკოვიდან და სხვ.

Tant qu'on est dans ces longues galeries, on trouve splendides les objets exposés, qui ne sont éclairés que par un faible demi-jour; mais, si l'on veut acheter, il faut regarder la marchandise en plein jour, ou mieux, se la faire envoyer à condition à l'hôtel, car les Persans sont de roués compères. Il y a un proverbe à Tiflis qui dit qu'il faut trois chrétiens pour rouler un juif, trois juifs pour rouler un Arménien et trois Arméniens pour rouler un Persan. (266)

სანამ ამ გრძელ გალერეებში დადიხარ, შესანიშნავ ექსპონატებს აღმოაჩენ, რომლებსაც მხოლოდ შუადღის მკრთალი შუქი ანათებს; მაგრამ თუ ყიდეა გსურთ, ის დღის სინათლეზე უნდა ნახოთ ან უკეთესია, თუ სასტუმროში მოგიტანენ, რადგან სპარსელები გაქნილი თაღლითები არიან. თბილისში არის ანდაზა, რომ სამი ქრისტიანია საჭირო ერთი ებრაელის, სამი ებრაელი – ერთი სომხის და სამი სომეხი ერთი სპარსელის გასაცურებლად.

Dans l'une de mes promenades à ce bazar, j'eus une surprise assez vive en entendant un jeune Persan me dire en pur allemand: Was wollen sie Kauffen mein Herr (que désirez-vous acheter, monsieur?), et dix pas plus loin un autre me répéter la même chose en français. C'est sans doute tout ce qu'ils savaient l'un et l'autre de ces deux langues, mais on ne laisse pas que (266) d'être étonné, au premier abord, d'entendre sortir une phrase française ou allemande de dessous un papak ou un bonnet persan. (269)

ამ ბაზარში ერთ-ერთი სეირნობის დროს ძალიან გამიკვირდა, როდესაც ერთმა ახალგაზრდა სპარსელმა სუფთა გერმანულით მომმართა: Was wollen sie Kauffen mein Herr?

² ყარამანია – პროვინცია თურქეთის აღმოსავლეთში.

³ კოკლენ-ბოუმგარტნერის ტექსტილის საწარმო XIX საუკუნის დასაწყისში, 1806-1807 წლებში, დაარსდა.

⁴ ლორაჰი – ქალაქი მდინარე რაინის პირას, თანამედროვე საფრანგეთის, შვეიცარიისა და გერმანიის საზღვარზე.

(რისი ყიდვა გსურთ, ბატონო? – A. K-Sc.). ათი ნაბიჯის შემდეგ კი მეორემ იგივე ფრანგულად მკითხა. რასაკვირველია, ეს ის ერთადერთი კითხვა იყო, რაც მათ ამ ენებზე იცოდნენ, მაგრამ ერთბაშად ძალიან გამაკვირვა ფაფახის თუ სპარსული ქუდის ქვევიდან მოსმენილმა ფრანგულმა და გერმანულმა ფრაზამ.

Je redescends en ville par le quartier arménien. J'entre par curiosité dans quelques cafés populaires de bas étage où l'on boit du thé. On se dirait dans la caverne où Ali-Baba vit les quarante voleurs. Quels types ! La population mâle de toute provenance est vraiment fort belle à Tiflis. Quant à la population féminine, je n'ose parler de la capitale de la Géorgie sans en rien dire, et pourtant, j'en aurais vraiment fort envie, car j'ai peur d'écrire une monstruosité. Mais enfin je constate que le peu de Géorgiennes que j'ai vues, je les ai trouvées bien au-dessous de leur réputation, à quelques exceptions près; mais, des exceptions, on en trouve partout. Eh bien, la généralité, je le dis en toute sincérité (269), m'a laissé froid. Elles ont toutes le même air: de grands yeux noirs fendus en amande, des sourcils bien arqués, la peau blanche, mais il leur manque ce je ne sais quoi, sans lequel la femme n'est jamais vraiment belle.

ქალაქში სომხების უბნის გავლით დავბრუნდი. ცნობისმოყვარეობის გამო რამდენიმე უბრალო კაფეში შევედი, სადაც ჩაის სვამენ. გეგონებოდა, რომ იმ გამოქვაბულში ხარ, სადაც ალი-ბაბამ ორმოცი ყაჩაღი დაინახა⁵. რა ტიპაჟებია! თბილისში ნებისმიერი ეროვნების მამაკაცი მართლაც ძალიან ლამაზია. რაც შეეხება ქალებს, ვერ გავხედავ საქართველოს დედაქალაქზე საუბარს ისე, რომ არაფერი ვთქვა, და მიუხედავად ამისა, დიდი სურვილი მექნებოდა, მაგრამ მეშინია, რამე საშინელება არ დავწერო. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ცოტა ქართველი ქალი ვნახე და ჩემი აზრით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ისინი თავიანთ რეპუტაციაზე ბევრად უფრო დაბლა იდგნენ; მაგრამ გამონაკლისი ყველგან გვხვდება. სრულიად გულწრფელად ვამბობ, რომ უმრავლესობამ გულგრილი დამტოვა. ყველა ერთნაირად გამოიყურება: დიდი შავი ნუშისებრი თვალები, კარგად მორკალული წარბები, თეთრი კანი, მაგრამ მათ რაღაც აკლიათ, არ ვიცი რა, ის, რის გარეშე ქალი არასოდეს არის მართლა ლამაზი.

Je ne parle ici bien entendu que du peuple, des femmes qu'on rencontre dans les rues, au bazar, partout. Je dois cependant une mention spéciale, toute spéciale même, aux dames arméniennes appartenant à la bourgeoisie; j'en ai rencontré un certain nombre, sorties à pied pour faire des visites ou des emplettes dans les boutiques du boulevard. Elles sont grandes, belles sous la dentelle ou le voile de mousseline dontelles se cachent à demi la figure; elles se mettent avec élégance et goût souvent; mais pourquoi faire traîner dans la poussière leurs robes à queue? pourquoi sous leur traîne ces jupons empesés, durs comme du carton, qui grattent bruyamment le sol en soulevant des flots de poussière? (270).

რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ იმ უბრალო ადამიანებზე, იმ ქალებზე ვამბობ, რომლებსაც ქუჩაში, ბაზარში და ყველგან ხვდები. ამასთან, საგანგებოდ, სრულიად საგანგებოდ უნდა ვახსენო სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელი ქალბატონები; მე ვნახე ზოგიერთი მათგანი, რომლებიც ფეხით დადიოდნენ სტუმრად ან საყიდლებზე ბულვარის ბუტიკებში. მაღლები და ლამაზები, გახვეულები მაქმანებსა თუ მუსლინის ვუალებში, რაც ნახევრად უფარავთ სახეს, ხშირად ელეგანტურად და ხშირად გემოვნებითაც არიან ჩაცმულები; მაგრამ რატომ

⁵ ალი-ბაბა – არაბული ზღაპრის „ალი-ბაბა და ორმოცი ყაჩაღი“ მთავარი პერსონაჟი. ეს ზღაპარი შესულია „1001 ღამის“ ზღაპრების კრებულში, ევროპაში ცნობილი გახდა XVIII საუკუნეში.

მიათრევენ შლეიფიან კაბას მტვერში? რატომ აყენებენ მტვრის კორიანტელს მუყაოსავით მკვრივი, გახამებული ქვედაბოლოები, რომლებიც ხმაურით ფხაჭნიან მიწას?

La colonie française est assez nombreuse à Tiflis; comme presque toujours en Orient, les coiffeurs, les modistes, les couturières, etc., sont Français; quelques-uns ont de beaux magasins et font bien leurs affaires. Je constate en passant que depuis que Dumas est venu dans le Caucase, les prix des coiffeurs ont bien baissé; il disait avoir dû payer trois roubles une taille de cheveux, on ne m'a demandé à moi que 30 kopeks; il est vrai qu'il avait des cheveux épiques, c'est une vanité qui me manque. (271-272)

თბილისის ფრანგული კოლონია საკმაოდ მრავალრიცხოვანია. როგორც თითქმის ყოველთვის აღმოსავლეთში, ფრანგები არიან პარიკმახერები, *მოდისტკეები*, მკერავები და სხვ.; ზოგიერთ მათგანს კარგი მაღაზია აქვს და საქმეც კარგად მისდის. იმასაც აღვნიშნავ, რომ კავკასიაში დიუმას მოგზაურობის შემდეგ პარიკმახერის ფასი დაეცა; ის ამბობდა, რომ იძულებული იყო, სამი რუბლი გადაეხადა თმის შეჭრაში, რაშიც მე მხოლოდ 30 კაპეიკი მომთხოვეს, სიმართლე კი ის არის, რომ მას დიდი თმა ჰქონდა, რითაც მე თავს ვერ მოვიწონებ.

Parmi les Français résidant à Tiflis, le hasard m'a mis en rapport à l'hôtel avec M. Mouriez, professeur de français des enfants du grand-duc Michel. Il habite en été à Borjom, où j'espère bien le voir dans quelques jours. Je rencontre aussi un autre compatriote, bon et brave Alsacien de Sainte-Marie-aux-Mines, nommé M. Kunégel; il est là depuis des années et s'y est marié avec une Française. Il connaît tous les coins et recoins de Tiflis et de tout le Caucase, et, connue il a en ce moment du temps de reste, je lui demande de m'accompagner dans une promenade de quelques jours, que je me propose de faire en Mingrélie (272).

თბილისში მცხოვრებ ფრანგებს შორის შემთხვევამ სასტუმროში ბატონ მურიესთან⁷, დიდი მთავარი მიხეილის ბავშვების ფრანგულის მასწავლებელთან შემახვედრა. ზაფხულში ის ბორჯომში ცხოვრობს და იმედი მაქვს, მას იქ რამდენიმე დღეში ვნახავ. შევხვდი სხვა თანამემამულესაც, ყოჩალ და მამაც ელზასელს სენ-მარი-ო-მინიდან⁸, გვარად კუნეჟელს; ის უკვე რამდენიმე წელია აქ იმყოფება და აქვე იქორწინა ფრანგ ქალზე. ის თბილისისა და კავკასიის ყველა კუთხე-კუნჭულს იცნობს; რადგან ვიცოდი, რომ დრო ჰქონდა, რამდენიმე დღით სამეგრელოში გაყოლა ვთხოვე.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიაძე)

⁶ მოდისტკა – ქალების ქუდეების, აგრეთვე ტანსაცმლისა და თეთრეულის მკერავი ქალი.

⁷ ჟიულ მურიე (1846-19??) – საქართველოში მოღვაწე ფრანგი პუბლიცისტი, მთარგმნელი და მეცნიერი.

⁸ სენ-მარი-ო-მინ (Sainte-Marie-aux-Mines) – კომუნა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში.